ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N41 დადგენილების ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების“ თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშებას, დასაბუთებას და შესრულებას. ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებას. ბიუჯეტის შესრულების პერიოდული და წლიური ანგარიშის მომზადებას, სამსახური მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს სამართლებრივი აქტებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად.

სამსახურს აქვს ორი განყოფილება: საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება. სამსახური ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის წინაშე.

გასულ წელს მისი ძირითადი საქმიანობის ამოცანებიდან გამომდინარე შეასრულა შემდეგი ფუნქციები: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოახდინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახადელების კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და წარუდგინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად 28 თებერვლამდე მოამზადა 2023 წლის შესრულების ანგარიში, საბიუჯეტო კოდექსის 76 -ე მუხლის შესაბამისად 2024 წლის 1 მარტს გამოიცა 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების ბრძანება, საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად მომზადდა ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები. დამტკიცებულ ბიუჯეტში საანგარიშო წელში 3 - ჯერ მოამზადა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, რომელშიც ასახული იყო როგორც ადგილობრივი ასევე მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი სახსრები.

მეთოდური დახმარება გაუწია მხარჯავი ორგანიზაციის მიერ შექმნილ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით (15 ივლისი-05ოქტომბერი) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა გაიანგარიშა შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად. საბიუჯეტო ორგანიზაციებს გადაეგზავნათ საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა ზღვრული მოცულობების მითითებით.

მომზადდა 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების პირველადი დოკუმენტი, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქნა მერის სამართლებრივი

აქტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი ბიუჯეტის პროექტთან ერთად შენიშვნების გათვალისწინებით კანონმდებლობის შესაბამისად მომზადდა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია და დამტკიცდა.

ასევე წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას მუნიციპალიტეტის გასული წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა ჯამში შეადგინა: **39 195,4** ათასი ლარი, **მ/შ შემოსავლები - 35 504,1** ათასი ლარი აქედან: გადასახადები - 12 019,5 ათასი ლარი, გრანტები - 21 477,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 2 007,1 ათასი ლარი, **არაფინანსური აქტივების კლება - 687,6 ათასი ლარი, ნაშთი -3 003,7 ათასი ლარი;**

გადასახდელები - 37 949,9 ათასი ლარი, მ.შ. ხარჯები-**19 055,7** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - **18 852,8** ათასი ლარი, ვალდებულების კლება - **41,5** ათასი ლარი;

დაზუსტებული ინფორმაცია მხარჯავ დაწესებულებაზე წარმოდგენილი იქნება 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.